К 19.509
ę

ეროვნული ბიბლიოთეკა
ლაბ-200
ფონდი

დ ე ბ ე ულ ე ბ ა

მებალეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეჭარ-თოფილეობის, მებაღჩეობის და სასაქონლო ფერ-მების გამგეების შესახებ.

1. უფლება და მოვალეობანი.

1) ფერმების გამგეს ეკისრება მეურნეობის მო-წყობა, მისი წარმართვა და შესრულება ფერმის საფინანსო-საწარმოო გეგმისა.

2) ფერმების გამგე პასუხის მგებელია კოლმე-ურნეობის გამგეობის წინაშე ფერმის მეურნეობის მდგომარეობის და ქონების დაცვისათვის.

3) ფერმის გამგე პასუხის მგებელია ყოველი ღო-ნისძიების გასატარებლად წარმოების ტეხნიკის აწ-ევისა და განვითარებისათვის სასაქონლო გამოსა-ვლიანობის ასაწევად, მოსავლიანობის გადიდების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების, დანაკარგებ-თან ბრძოლისათვის, ფერმის ხარჯების შემცირების და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

4) ფერმების გამგეს ემორჩილებიან ყველა კოლმე-ურნეობის მიერ გამოყოფილი ფერმაში მომუშავენი, როგორც მამაკაცები, ისე ქალები და დაქირავებუ-ლი სპეციალისტები.

საბჭოთა ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის მიერ გაწეული ყველა დაბანდებანი ფერმების მოსაწყობად აღირიცხებიან ცალკე, როგორც განსაკუთრებული საშუალებანი საკოლმეურნეო ფერმებისა.

3) საკოლმეურნეო ფერმა აწარმოებს თავის მეურნეობას თანახმად კოლმეურნეობისა და საქბალბოსტანკოლმეურნცენტრის მიერ დამტკიცებულ საწარმოო გეგმისა: ღებულობს საწარმოო კრედიტებს კოლმეურნეობის გამგეობის მეშვეობით, მარაგდება სპეციალური საწარმოო საშუალებებით და აწარმოებს თავის პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივი საქბალბოსტანკოლმეურნცენტრის კანტორების და რწმუნებულების მეშვეობით. კოლმეურნეობა პასუხს აგებს ფერმებზე გამოყოფილ კრედიტების სისწორით მოხმარებაზე და ვალდებულია გამოიყენოს ის იმ მიზნისათვის, რა დანიშნულებისათვისაც არის.

4) მთელი შემოსავალი კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო ფერმისა (სამი პროცენტის საპრემიო ფონდის გამოკლებით), შედის კოლმეურნეობის საერთო შემოსავალში. ყველა ხარჯები ფერმაზე შემოსავლის განაწილებისას აღირიცხება კოლმეურნეობის საერთო ხარჯებში ფერმის ცალკე ანგარიშში. განუყოფელი ფონდის (ფულებით), გადარიცხვისას კოლმეურნეობამ განსაზღვრული თანხა უნდა დააბეროს. კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა-დღეები ფერმებში ჩაირიცხებიან იმ საერთო სამუშაო დღეების რიცხვში, რომლისდამიხედვითაც ნაწილდება კოლმეურნეობის შემოსავალი და გაიცემა საერთო წესით.

კოლმეურნეები, რომლებიც მუშაობენ ფერმებში მომსახურეობას ღებულობენ კოლმეურნეობის ფონდების (კულტ. ფონდი, კადრების მომზადება და სხვა) ანგარიშიდან საერთო წესით.

5) კოლმეურნეობის ფერმის მართვა-გამგეობა ეკისრება ფერმის გამგეს, რომელსაც ნიშნავს კოლმეურნეობის გამგეობა და ამტკიცებს საქბალბოსტანკოლმეურნცენტრის კანტორა ან მისი რწმუნებული.

გამგის გამოცვლა შეიძლება მოხდეს კოლმეურნეობის გამგეობის დადგენილებით და საქბალბოსტანკოლმეურნცენტრის კანტორის დასტურით. თავის მოქმედებაში გამგე ხელმძღვანელობს მასზედ არსებულ დებულებით.

6) ყველა სამუშაოები ფერმაში, მათ შორის ალმშენებლობაკ, სრულდება კოლმეურნეთა ძალებით. დაქირავებული ძალის სახით კოლმეურნეობას შეუძლია მოიწვიოს მხოლოდ სპეციალისტები.

მშენებლობა სწარმოებს სამეურნეო წესით საალმშენებლო ორგანიზაციების ტეხნიკური ხელმძღვანელობით.

7) კოლმეურნეობის გამგეობა ფერმის გამგესთან ერთად განსაზღვრავს ფერმაში მომუშავეთა კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის შემადგენლობას. ფერმაში სამუშაოდ გამოყოფილი ყველა კოლმეურნეები გაიყოფებიან ბრიგადებათ. თითოეულ ბრიგადაში ინიშნება ბრიგადირი.

ბრიგადებში ძირითად სამუშაოებზე კოლმეურნეთა შემადგენლობა უნდა იყოს მთელი წლის განმავლობაში მუდმივი. მასიურ სამუშაოების დროს მათ თავის დროზე შესასრულებლად კოლმეურნეობა ვალდებულია გამოყოს დამატებითი ბრიგადები.

ყველა ბრიგადები, როგორც მუდმივი, ისე დროებითი, მათთან ერთად კამოყოფილ ინვენტარით და გამწევი ძალით უნდა იქნან მიმაგრებული განსაზღვრულ საწარ. ნაკვეთებზე.

8) ფერმაში მომუშავე კოლმეურნეთა შორის აღრიცხვა სწარმოებს ყოველდღიური აღნუსხვით და ჩაიწერება წიგნაკებში (შრომის) ხუთ დღეში ერთხელ. აღრიცხვის ფორმები და წესები მუშავდება ფერმის გამგის მიერ კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად.

9) სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის წესები და ინსტრუქციები მუშავდება ფერმის გამგის მიერ თითოეულ კოლმეურნისათვის მოვალეობის ზუსტი განსაზღვრით.

წესები და ინსტრუქციები იხილება საწარმოო თათბირებზედ, საერთო კრებაზე და მტკიცდება კოლმეურნეობის გამგეობის მიერ.

10) კოლმეურნეთა მუშაობა ეწყობა აუცილებლად სანარდო წესით, რისთვისაც წესდდება გამომუშავების ნორმები.

გამომუშავების ნორმები წინასწარ მუშავდება კოლმეურნეობის საწარმოო თათბირზე, შემდეგ შტკიცდება კოლმნურნეობის გამგეობის და საერთო კრების მიერ.

11) ფერმის გამგე ვალდებულია იბრძოლოს რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებისათვის იმ წესების მიხედვით, რომლებიც დაწესებული არიან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ.

გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის, დაბალი ხარისხის მუშაობის, სამუშაო დისციპლინის დარღვევის და თავის მოვალეობის და ინვენტარისადმი უყურადღებობით მოპყრობისათვის ფერმის გამგე ადებს მჯავრს კოლმეურნეობებში არსებული შინაგანი განწესის მიხედვით.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ადგილი აქვს განსაკუთრებულ ყურადსაღებ დამნაშაობას, დაისმება საკითხი კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

12) ფერმის სამუშაოების ყოველი მხრივი განვითარება უნდა ხდებოდეს მუშაობის სოციალისტური მეთოდებით (სოცშეჯიბრი და დამკვრელობა). სოცშეჯიბრი სწარმოებს, როგორც ცალკე

კოლმეურნეობათა შორის, აგრეთვე პრიგადებსა და ფერმებს შორის.

კოლმეურნეობა ვალდებულია დააზღვეოს ფერმის მთელი ქონება და ნათესები სტიქიური მოვლენებისაგან.

საქბალბოსტანკოლმეურნცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე გ უ ლ ე გ ა

საქხილბოსტან კოლმეურნეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მექართოფილეობის, მებოსტნეობის და მებაღჩეობის, დაფნის სუბტროპიკულ კულტურების და სასაქონლო ფერმების შესახებ.

ზოგადი დებულებანი

1) საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა არის ნაწილი კოლმეურნეობისა და იმავე დროს წარმოადგენს კოლმეურნეობის საერთო მეურნეობას, რომლის წარმატება დამოკიდებულია პირველ ყოვლისა თვით კოლმეურნეთა მუშაობაზე.

2) ფერმების მეურნეობის ფუძეს შეადგენს: ა) საბაღო-საქართოფილე, საბოსტნე და სავენახე ფართობების გამოყოფა კოლმეურნეობის მიერ; ბ) სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და საჭირო თესლეულების მარაგით და გამოყოფა ფერმებისათვის საწარმოო კრედიტებისა.

კოლმეურნერბა უზრუნველყოფს ფერმას შესაფერისი სამეურნეო და საწარმოო შენობებით და მოწყობილობით, მუშა ხელით და გამწევ ძალით.

კოლმეურნეობა პასუხის მგებელია ფერმის მეურნეობის მოწყობაზე და დადებულ ხელშეკრულების შესრულებაზე,

5) თავისი მოვალეობის დარღვევისთვის, უმოქმედობისათვის, უმომჭირნეობისათვის, თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, გამგე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის წესით, ამასთანავე ვალდებულია აუნაზღაუროს ნივთიერი ზარალი, რომელიც მისი დანიშნულებით მიადგა კოლმეურნეობას.

გამგის მოვალეობანი ცალ-ცალკე მეურნეობის დარგებში და სამუშაოებში განისაზღვრება:

ა) აგროტექნიკის დარგში:

1. ფერმის გამგეს ეკისრება უზრუნველყოს ფერმების მიერ ყველა მოთხოვნილების შესრულება, რომლებიც დაწესებულია აგრო მინიმუმით მის რაიონში ფერმის მეურნეობისთვის და ამ წესით მოაწყოს:

ა) თავის დროზე დახვნა, თესვის წინ ნიადაგის საჭირო დამუშავება, თესვა და მოსავლის აღება;

ბ) მინერალური განოყიერება ნიადაგის და აგრეთვე შეკირვა დაწესებულ ნორმების მიხედვით;

გ) აგრომინიმუმით გათვალისწინებულ ფერმაში ყველა სამუშაოთა დროზე წარმოება;

დ) თესვისათვის და დარგვისათვის გამოყენება ხარისხოვანი და გაუმჯობესებული თესლისა და სარგავი მასალისა, რომელსაც მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) თავის დროზე შესრულება სამუშაოებისა, მცენარეულობის დაცვისათვის ავათმყოფობისა და შავნებლების წინააღმდეგ;

ვ) სათანადო პირობებში შენახვა სათესლე და სარგავ მასალების.

ზ) გამოყენება ყველა მიღწევებისა მებოსტნეობის და მებაღეობის კულტურის მეხანიზაციისა.

2. ფერმის გამგე ვალდებულია დაიჭიროს ცოცხალი კავშირი მეზობელ სპეციალურ საბჭოთა მეურნეობებთან, ადგილობრივ საცდელ სადგურებთან, ან დასაყრდნობ პუნქტებთან მათი გამოცდილების გამოსაყენებლად ფერმის მეურნეობაში. ფერმის გამგე საცდელ სადგურის ხელმძღვანელობით და მათთან შეთანხმებით აწარმოებს საცდელ საქმიანობის დაწყებას ფერმაში.

3. გამგე ვალდებულია შეასრულოს საქბაღბოსტანკოლმეურნეცენტრის აგრონომ-სპეციალისტების მითითებანი ფერმაში აგროტექნიკის საკითხების გასატარებლად.

ბ) შრომის ორგანიზაციის დარგში:

1. ფერმის გამგე ერთ პიროვნულად პასუხის მგებელია კოლმეურნობის მიერ ფერმაში დაწესებულ შრომის ორგანიზაციის წესების შესრულებაში.

2. ფერმის გამგეს უფლება ეძლევა წამოაყენოს

თავისი კანდიდატები კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დასამტკიცებლად ფერმაში სამუშაოდ და გადაყენოს კოლმეურნეობის სამუშაოდან კოლმეურნეები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობის შესრულებას, ვერ ასრულებენ იმ დაწესებულ გამომუშავების ნორმებს, რაც დაწესებულია მეურნეობაში, მუშა-დღეების გამცდენი სამუშაო დისციპლინის დამრღვევი კოლმეურნეობის გამგეობის განკარგულებაში.

3. ყველა მომუშავეთ, როგორც მუდმივს, აგრეთვე დროებითს, ფერმის გამგე ანაწილებს ბრიგადებათ, ნიშნავს ბრიგადირებს და ამაგრებს ბრიგადებს განსაზღრულ საწარმ. ნაკვეთზე. მთელი დროის განმავლობაში.

4. გამგე აწყობს კოლმეურნეთა მუშაობას ისე, რომ ისინი დასპეციალისტდნენ რომელიმე განსაზღრული სახის მუშაობაზე და ამით გააუმჯობესოს ხარისხი მუშაობისა პროდუქცია და აამაღლოს შრომის ნაყოფიერება.

5. კოლმეურნეთა მუშაობას გამგე აწყობს სანარდო სისტემის საფუძველზე თითეულ კოლმეურნეს მიერ ხარისხობრივ და რიცხობრივ შესრულებულ სამუშაოს მიხედვით და ხელს უწყობს ყველა სამუშაოში სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის მუშაობის განვითარებასას.

6. წესები მუშავდება გამგის მიერ, რომლებშიაც

ზუსტად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფერმაში მომუშავე თითოეული კოლმეურნის მოვალეობა.

7. ფერმის გამგე აწყობს კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვის თანახმად კოლმეურნეობის მიერ შემოღებულ წესებისა.

ბ) მშენებლობის დარგში:

ფერმის გამგე: ა) ხელმძღვანელობის მშენებლობას და ღებულობს ყოველნაირ საჭირო ზომებს განსაზღვრულ ვადაში მშენებლობის დასამთავრებლად; ბ) ღებულობს ზომებს კოლმეურნეობის გამგეობის მეშვეობით ადგილობრივ სააღმშენებლო მასალის თავის დროზედ დამზადების და დანიშნულ ადგილზე მიტანის უზრუნველსაყოფად, თანახმად საწარმოო და სააღმშენებლო სამუშაო გეგმისა.

დ) პროდუქციის მიღებისა და რეალიზაციის დარგში.

ფერმის გამგე ვალდებულია: ა) მიიღოს ყოველგვარი ზომები საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ ფართობების თესვის ჩატარების უზრუნველსაყოფად, მოსავლიანობის გადიდების საქმეში და მოსავლის გაფუჭებისა და დაღუპვისაგან სრული დაცვისათვის; ბ) უზრუნველჰყოს გადამუშავება და შენახვა ხილ-ბოსტნეულისა არა ნაკლებ საწარმოო გეგმით დაწესებულ რაოდენობისა; გ) უზრუნველჰყოს ფერმის

მოთხოვნილება ტარით; დ) ფერმის გამგე თვალყურს ადევნებს და პასუხისმგებელია პროდუქციის სათანადო შენახვაზე, საწყობების და აგრეთვე გადასამუშავებელ წამოწყებათა სანიტარულ მდგომარეობაზე და მათ მოწყობაზე; ე) აწესრიგებს მთელ საქონლო პროდუქციის ჩაბარებას სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე, თანახმად ხელშეკრულებისა, რომლებიც დადებულია კოლმეურნეობასა და ბაღბოსტანკოლმეურიცენტრის შორის.

ე) საწარმოო საშუალებათა მომარაგების საქმეში.

ფერმის გამგე: ა) პასუხისმგებელია თავის დროზე შეადგინოს და წარმოადგინოს მოთხოვნილება: სანერგე მასალაზე, სასოფლო სამეურნეო იარაღ-მასალებზე, ხიმიკატებზე, მავნებლებთა საბრძოლ საშვალებებზე, მინერალურ სასუქის და სხვა საწარმოო საშვალებათა და უზრუნველჰყოს მათი თავის დროზე მიღება მომარაგების ორგანიზაციდან ბაღბოსტანკოლმეურნცენტრის მითითების თანახმად; ბ) უზრუნველჰყოფს ადგილობრივ დამზადებას, როგორც ცენტრალიზაციაქმნილ მომარაგების წესით გათვალისწინებულ თესლეულების რაოდენობას, აგრეთვე თესლეულის დანაკლისის და სარგავ სხვა საწარმოო მასალებსა და საშუალების ადგილობრივ მოპოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) დაგეგმის საქმეში.

დაგეგმის სფეროში ფერმის გამგე: ა) ადგენს კოლმეურნეობის აქტივს და სპეციალისტების მონაწილეობით საწარმოო-საფინანსო გეგმებს, ატარებს მათ საწარმოო თათბირებში, გამგეობაში და კოლმეურნეობის საზოგადო კრებაზე და ადგენს მათ ხილბოსტანკოლმეურნცენტრში დასამტკიცებლად; ბ) ადგენს გეგმებს აღმშენებლობის, მოწყობილობის გადაკეთების და ფერმის მეხანიზაციისათვის და უდგენს მათ დასამტკიცებლად კოლმეურნეობის გამგეობას და ხილბოსტანკოლმეურნცენტრს.

ზ) აღრიცხვის საქმეში.

ფერმის გამგე: ა) აწყობს აღრიცხვას და პასუხისმგებელია მისი სისწორით დაყენებაზე თანახმად ბაღბოსტანკოლმეურნცენტრის მიერ მიცემულ მითითებისა და ფორმებისა; ბ) არა ნაკლებ ერთხელ თვეში ადგენს ანგარიშებს ფერმის მდგომარეობაზე და საწარმოო გეგმის შესრულებაზე კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე (აგრეთვე კოლმეურნეობის საზოგადო კრების წინაშე); გ) ვალდებულია წარუდგინოს ყველა ცნობები ბაღბოსტანკოლმეურნცენტრის მიერ მიცემულ ფორმებითა და დაწესებულ ვადებში კოლმეურეობის გამგეობას და საქბადბოსტანკოლმეურნცენტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) მახიურ მუშაობაში.

გამგეს ეკისრება: ა) ყოველმხრივი ხელის შეწყობა საწარმოო თათბირების მუშაობის გასაძლიერებლად და პირადი მონაწილეობა მათში; ბ) სისტემატიური დაწინაურება კოლმეურნე მამაკაცებისა და ქალების—დამკვრელების; გ) გამოყოფა კოლმეურნეთა შემადგენლობიდან საუკეთესო და გამოცდილ დამკვრელებისა და წარდგენა მათი გამგეობაში პრემიების მისაცემათ და გასაგზავნათ აგროტეხნიკის შესასწავლად სპეციალურ კურსებზე, ტეხნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში; დ) ხელის შეწყობა ჯგუფების მოწყობაში საუბრების და ლექციეგის ჩატარებაში აგროტეხნიკის შესასწავლად; ე) მოწყობა კუთხეების, გამოფენების და სხვა საჩვენებელ ღონისძიებათა, მეხილეობის, მებოსტნეობის, მექართოფილეობის, მ ვენახეობის და მებაღეობის საკითხების შესწავლის მიზნით; ვ) მოგვარება ფერმების საჭირო ლიტერატურით მომარაგებისა მეხილეობაში, მებოსტნეობაში, მევენახეობაში, მებაღეობაში, მექართოფილეობაში (ბროშურები, ჟურნალები და სხვა), და ამ ლიტერატურის სისწორით გამოყენების; ზ) განმარტება, როგორც კოლმეურნეთა შორის. აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეთა შორის ყველა მიღწევებისა და უპირატესობისა მსხვილ კოლექტიურ ხილბოსტნეულის მეურნეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა; თ) დამყარება კავშირისა ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირის ღა საბჭოთა საზოგადო ორგანიზაციებთან.

ი) ხანძრისაგან ფერმის ქონების სიმთელით დაცვისათვის ზომების მიღების სფეროში.

გამგეს ევალება: ა) სავალდებულო დაზღვევა მთელი ქონებისა, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის და ფერმის მოსავლისა ხანძრის და სტიქიურ უბედურებისაგან (სეტყვა, ყინვა და სხვა); ბ) მოწყობა ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილებისა (კასრები, ცეცხლის მქრობლები და სხვა) და გაყვანა სხვა ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა; გ) მოწყობა სასწრაფო კავშირისა ახლოს მდებარე სახანძრო ნაწილებთან (კომანდა მოხალისეთა); დ) მოწყობა დაცვისა და უზრუნველყოფა შენახვისა და სიმთელისა მთელი ქონებისა, როგორც გატაცების საწინააღმდეგო ზომების მიღებით, აგრეთვე მასთან დაუდევარ დამოკიდებულების წინააღმდეგ.

საქბალბოსტანკოლმეურნეცენტრი.